

## ბხსუ-ს მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებითა და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი

### ✚ სასწავლო ფართითა და ტექნიკით სარგებლობა

- უნივერსიტეტის პერსონალს, სტუდენტსა და მსმენელს უფლება აქვთ თანაბრად ისარგებლონ უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით.
- უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ვალდებულია შესაბამისი პირობები შეუქმნას უნივერსიტეტის პერსონალს, სტუდენტებსა და მსმენელებს სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვნად და სასწავლო-სამეცნიერო/შემოქმედებითი საქმიანობის წარმატებით განხორციელებისათვის.
- უნივერსიტეტს გააჩნია პერსონალისა და სტუდენტების რაოდენობის შესაბამისი სამსახურებრივი და სასწავლო ფართი, რომელსაც ადმინისტრაცია ანაწილებს რაციონალურად.
- უნივერსიტეტი უზრუნველყოფს კომპიუტერული ტექნიკის გამართულ მდგომარეობაში ყოფნას, საუნივერსიტეტო კომუნიკაციების ხელმისაწვდომობას პერსონალისა და სტუდენტისათვის, რისთვისაც ანაწილებს შესაბამის რესურსებს თითოეული თანამშრომლისთვის.

### ✚ საბიბლიოთეკო და ინტერნეტრესურსებით სარგებლობა

- ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ინტერნეტრესურსების ხელმისაწვდომობას უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტებისთვის.
  - უნივერსიტეტის ადმინისტრაცია პერიოდულად ახდენს საბიბლიოთეკო ფონდის განახლებას საგანმანათლებლო საჭიროებებიდან გამომდინარე.
  - უნივერსიტეტის პერსონალსა და სტუდენტებს უფლება აქვთ შეუფერხებლად ისარგებლონ საბიბლიოთეკო რესურსებით უნივერსიტეტის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის შესაბამისად.
  - უნივერსიტეტის პერსონალსა და სტუდენტებს უფლება აქვთ მიიღონ მათთვის საჭირო ინფორმაცია ბიბლიოთეკიდან შესაბამისი ფორმით: ადგილზე მომსახურებით, სააბონენტო მომსახურებით, მიიღონ სხვადასხვა მასალის ასლები, რისთვისაც ადმინისტრაცია უზრუნველყოფს შესაბამისი აპარატურის ამოქმედებასა და შეღავათიან პირობებს.
- ბხსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებულია ბიბლიოთეკის დებულება <http://basu.edu.ge/text files/ge file 62 1.pdf> და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი <http://basu.edu.ge/text files/ge file 62 3.pdf>.
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ემსახურება უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პერსონალს.
  - საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობისათვის აუცილებელია ბიბლიოთეკაში რეგისტრაციის გავლა, რისთვისაც დაინტერესებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს:

- პირადობის მოწმობის ასლი (დედანთან ერთად);
  - ერთი ფოტოსურათი ზომით 3 x 4;
  - ინფორმაცია საცხოვრებელი მისამართის (ფაქტობრივი და იურიდიული), საკონტაქტო ტელეფონის/მობილური ნომრის და ელექტრონული ფოსტის მისამართის შესახებ.
- მკითხველი ვალდებულია ბიბლიოთეკას აცნობოს საკონტაქტო ინფორმაციის შემცველი მონაცემების შეცვლის შესახებ.
  - რეგისტრაციისას ბიბლიოთეკის მომხმარებელი ასევე ვალდებულია გაეცნოს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესს, რასაც ადასტურებს მომხმარებლის ბარათზე ხელმოწერით.

უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო რესურსებს შეადგენს წიგნსაცავი, საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი, თავისუფალი სივრცე, საბიბლიოთეკო კოლექციები (სხვადასხვა ენაზე გამოცემული წიგნადი და არაწიგნადი ფონდი: სახელმძღვანელოები, სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურა, პერიოდული გამოცემები, ელექტრონული რესურსები და ა.შ) ელექტრონული ბიბლიოთეკა, ელექტრონული სამეცნიერო ბაზები, აუდიო და ვიდეო მასალები.

- ✚ ბიბლიოთეკას გააჩნია საკუთარი ვებგვერდი, რომლის მეშვეობითაც სახლიდან გაუსვლელად დაინტერესებულ პირს შეუძლია მოიძიოს ბიბლიოთეკის კატალოგში (OPEN BIBLIO) აღწერილი ბიბლიოთეკის მთლიანი ფონდი.
- ✚ აბონემენტით მომსახურებისას 1 მკითხველზე დროის ერთ პერიოდში გაიცემა არაუმეტეს 5 საბიბლიოთეკო ერთეულისა.
- ✚ მკითხველი ვალდებულია გატანილი წიგნი დროულად დააბრუნოს ბიბლიოთეკაში. იმ შემთხვევაში თუ წიგნის გატანის ერთი 7 დღიანი ვადა არ არის საკმარისი, მკითხველს შეუძლია მოითხოვოს ვადის გაგრძელება (ვადის გაგრძელება შესაძლებელია წიგნზე ხშირი მოთხოვნის არარსებობის შემთხვევაში).

**ბიბლიოთეკის მისამართია:** ქ. ბათუმი ზ.გორგილაძის/ვაჟა-შაველას ქ. №19/32, პირველი სართული, ოთახი №109 (სამკითხველო დარბაზი).

#### ✚ ბიბლიოთეკის მუშაობის განრიგი

ბიბლიოთეკა მუშაობს შემდეგი განრიგით:

ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10.00 საათიდან - 18.00 საათამდე

შაბათი 10.00 საათიდან - 16.00 საათამდე

კვირა - დასვენების დღე